MES 4 21 0001055816

08/10/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 4 ოქტომბერს.**

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89577401657?pwd=a3RaUlVaOHJVcC9Kcm53cWNlVWs2UT09
Meeting ID: 895 7740 1657

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
მარიამქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე/ საბჭოს მდივანი;
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი/საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის "ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის" ქვეპროგრამის - "ახალგაზრდული

საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა" - პროგრამული განითარების კოორდინატორი/საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“:
პავლე თვალიაშვილი - კოლეჯის დირექტორი,
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
გულნარა ბიბილეიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი:

დიანა გახარია

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

საბჭოს სხდომის წაყვანა დაევალა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს შორენა ჯაფარიძეს, ვინაიდან საბჭოს თავმჯდომარე, ნანა ყუფუნია სხდომას არ ესწრებოდა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა (ცენტრის მიერ მოძიებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება).

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

ცენტრის წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა მოკლე განმარტება გააკეთა დღის წესრიგის საკითხის ირგვლივ. მან აღნიშნა, რომ ეს იყო გადადებული საკითხი, ამ საკითხის მოსმენა ჰქონდათ დაწყებული 17 სექტემბრის საბჭოზე. საქმე ეხებოდა კოლეჯ ,,მოდუსისთვის“ მარნეულის მუნიციპალიტეტში „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას. ხარვეზი, რომელიც ფაქტიურად დარჩა განსახილველად და რომლის გამოც გადაიდო გადაწყვეტილების მიღება, ეხებოდა დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებულ "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებთან" შესაბამისობაში მოყვანის ფაქტის დადასტურებას. როგორც გამოჩნდა ვიზიტის დროს, ექსპერტებმა ვერ დაადასტურეს, რომ დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი შესაბამისობაში ჰქონდა მოყვანილი მინისტრის 42/ნ ბრძანებასთან, რის თაობაზეც დაწესებულებამ როგორც არგუმენტირებულ პოზიციაში, ასევე ჩართვის დროსაც, განმარტა რომ მათ ნამდვილად ჰქონდა მოყვანილი შესაბამისობაში. ცენტრის მხრიდანაც ფიქსირდებოდა, რომ წერილით იყო ინფორმაცია შემოსული, რომ მოიყვანეს შესაბამისობაში 12 ივლისამდე, ანუ დადგენილ ვადაში. უბრალოდ, ცენტრში მხოლოდ წერილი იყო გამოგზავნილი და არ იყო თვითონ აქტი და არც იყო აქტის გამოგზავნა საჭირო, ცირკულარული წერილის ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ 17 სექტემბერს ჩატარებული სახდომის ოქმი უკვე გამოქვეყნებული იყო. საბჭოს დავალებით ცენტრის შესაბამის სამსახურს უნდა დაედასტურებინა, რომ 13 ივლისისთვის, როგორც განმარტავდა დაწესებულება, ბრძანება და შეცვლილი აქტი ატვირთული ჰქონდათ ი-ფლოუში. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა დაადასტურა, რომ მართლაც 13 ივლისისთვის ეს აქტი ატვირთული იყო ი-ფლოუში, რაც დადასტურდა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით, ასევე გადამოწმდა ემისის სერვერიდან და აღნიშნა, რომ ნამდვილად დასტურდება, რომ ატვირთული იყო 13 ივლისისთვის, როგორც აქტი, ასევე ბრძანება. საჭოს მხრიდან მეორე დავალებაც ჰქონდა ცენტრს, რომ ექსპერტს შეემოწმებინა დაწესებულების მიერ შემუშავებული ამ აქტის შესაბამისობა მინისტრის 42/ნ ბრძანებით დადგენილ ჩარიცხვის წესთან. საბჭოს ორივე შუამდგომლობა შესრულდა, კერძოდ დადასტურდა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი ნამდვილად იყო ატვირთული და გარდა ამისა, დაიდო ექსპერტის დამატებითი მოკლე დასკვნა, რომელშიც ქალბატონი დიანა გახარია აღწერს, რა ნაწილში და როგორი შესაბამისობა არსებობს დაწესებულების მარეგულირებელი აქტისა მინისტრის ბრძანებასთან. ეს ყველაფერი გადმოგზავნილია საბჭოს წევრებთან და ფიქრობს, ნანახი აქვთ ყველა ეს დოკუმენტი და საბჭოს წევრებს შეუძლიათ განიხილონ და შესაბამისად მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს მოკლედ მოეხსენებინა საბჭოსთვის იმ რეკომენდაციების შესახებ, რომელიც მან გასცა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით.

ექსპერტმა დიანა გახარიამ აღნიშნა, რომ როგორც მოკლე დასკვნაში აქვს წარმოდგენილი, სასწავლო პროცესის რეგულირების წესის განხილვის შედეგად შეიმუშავა დასკვნა, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროცესის რეგულირების წესში ცვლილებიან დოკუმენტის შესწავლას და განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი აკმაყოფილებდა 42/ნ ბრძანებას მინიმალურად. დოკუმენტის სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელი იქნება შემდგომი რეგულაციის შემუშავება/ჩარიცხვის დეტალური პროცედურების გაწერა ან ამავე წესში ცვლილების შეტანა. ამასთან დაკავშირებით არის ინფორმაცია, როგორც არგუმენტირებულში მოიწერა დაწესებულებამ, რომ სამინისტროსთან კოორდინციით მიმდინარეობდა ეს პროცესები, ზოგადად საკითხის მნიშვნელოვნების და სირთულის გათვალისწინებით.

დასკვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ამ შემთხვევაში არაფერი აქვთ დასამატებელი, იმიტომ რომ მართლაც ეს პროცესი იყო და თვლიან, რომ კოლეჯის დირექტორის 259-ე ბრძანება, რომელიც 23 აგვისტოს დამტკიცდა, სწორედ ჩარიცხვის წესს ადგენდა, რომლის მიხედვითაც კოლეჯმა იმოქმედა და ჩაატარა პროფესიულ სტუდენტთა მიღების პროცესი ამ ეტაპზე.

სხდომის თავმჯდომარემ, შორენა ჯაფარიძემ, აღნიშნა. რომ დადასტურებულია დაწესებულების მიერ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ზემოაღნიშნული დოკუმენტის არსებობა, თუმცა ეს დოკუმენტი არ არის სრულყოფილი. აქვე მან მიმართა კითხვით ქალბატონ ნანი დალაქიშვილს - შეიძლებოდა თუ არა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის ეს დოკუმენტი სრულფასოვნად შეექმნა დაწესებულებას, ვინაიდან მინისტრის ბრძანების გამოსვლიდან (2 ივლისი) საკმაოდ მცირე დრო იყო გასული, არსებობდა თუ დაწესებულებების მიერ ამ პერიოდისთვის დოკუმენტის დასრულებული სახის წარმოდგენის პრაქტიკა.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ თუ პრაქტიკას გაითვალისწინებდა, რასაც პირადად ადევნებდა თვალს, იმ ვადაში, რაც მაშინ ჰქონდათ მიცემული დაწესებულებებისთვის, რომ 12 ივლისამდე აუცილებლად მოეყვანათ მინისტრის ბრძანებასთან შესაბამისობაში შიდა რეგულაციები და ცენტრისთვის მოეწოდებინათ ინფორმაცია, ერთეული ბრძანებები შემოვიდა და შემოდიოდა ძირითადად წერილები, სადაც გვაცნობებდნენ, რომ მოიყვანეს შესაბამისობაში და შემდეგ, მთელი თვის განმავლობაში და ახლაც კი, დაწესებულებებიდან შემოდის ინფორმაციები, რომ სრულყვეს, ანუ იმ მოკლე ვადაში წარმოუდგენელი იყო სრულყოფილი მარეგულირებელი წესი ჩამოეყალიბებინათ. ამიტომაც, ქალბატონმა დიანამაც გაუსვა ხაზი იმას, რომ იმ ეტაპისთვის არსებულ დოკუმენტში მეტი ვერც იქნებოდა, მინიმალურად არის შესაბამისობაში, შემდეგ ჩარიცხვის წესით, რომელიც ავსებს მას, და, როგორც ქალბატონმა დიანამ კარგი აქცენტები გააკეთა, იმ ჩარიცხვის წესში რა მუხლები უნდა ყოფილიყო. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეს რეკომენდაციები ფაქტიურად ასახულია მათ უკვე სრულყოფილ რეგულაციაში და სწორედ ამ წესებით განახორციელეს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა სხვა პროგრამებზეც. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ თითქმის არ ყოფილა პრაქტიკაში, რომ იმ ხუთ დღეში ვინმეს სრულყოფილად წარმოედგინა ახალი წესი მინისტრის ბრძანების სირთულიდან გამომდინარე, ამიტომაც შემდგომ სამინისტროს მხრიდან დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი დამხმარე აქტივობები (ტრენინგები, რეკომენდაციები), რათა დაწესებულებებს შეემუშავათ შესაბამისი რეგულაციები და განეხორციელებინათ პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესი მინისტრის N42 ბრძანების შესაბამისად. ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში არის დაწესებულების მხარეზე, თუმცა ნამდვილად მეტი ყურადღებისკენ

მოუწოდებს დაწესებულებას ასეთი წარმოებების დროს, რომ მობილიზებულები იყვნენ, რომ კომუნიკაციის ნაკლებობა არ შეიქმნას პროცესის დროს და ყველაფერი განმარტონ სწორად. ექსპერტები ყოველთვის ისმენენ და ითვალისწინებენ კარგად დასაბუთებულ და სწორ განმარტებებს.

შორენა ჯაფარიძემ დაამატა, რომ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქალბატონი დიანას რეკომენდაციები, არის უფრო განვითარების რეკომენდაციები, ვიდრე შესაბამისობის და სთხოვა ექსპერტს დაედასტურებინა, რაზეც საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაა დამოკიდებული და დაწესებულებამ, იმედოვნებს, გაითვალისწინა უკვე ყველაფერი. მან სთხოვა ექსპერტს განემარტა, როგორ ხასიათს ატარებს მისი რეკომენდაცია.

ქალბატონმა დიანას განმარტებით, მას გაუჭირდება თქვას, რომ მისი რეკომენდაციები ცალსახად განვითარების რეკომენდაციებია, უფრო ვადებზე იქნებოდა აქცენტი გასაკეთებელი, ის ვერ უარყოფს და ვერც დაადასტურებს ვებგვერდზე გამოქვეყნების ფაქტს, რადგან იმ დროისთვის რაც იყო ფაქტობრივი გარემოება, ის აღწერა და შემდგომში მოწოდებული რაც არის, ამას განიხილავს ახლა. დამატებით რაც იქნა მოწოდებული და რაც ამ ეტაპზე განხილვის საგანია, ის მარეგულირებელი აქტი მინისტრის ბრძანებასთან მინიმალურად არის შესაბამისობაში, შემდგომში ცხადია, როგორც მინისტრის ბრძანება ამბობს, რეგისტრაციის დაწყებამდე უნდა ყოფილიყო სრულად მოყვანილი შესაბამისობაში და ცხადია, დასჭირდებოდა პროფესიულ სტუდენტთა მიღებამდე ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონოდა დაწესებულებას და დამატებით ჩარიცხვის წესიც უნდა ყოფილიყო დამტკიცებული, ამიტომ ვადებში არიან აცდენილები და დღეს ვერ იტყვის, რომ ეს იყო იმ დროისთვის ან ამ დროისთვის არის განვითარების რეკომენდაცია.

ჩვენ გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ იმ პერიოდისთვის, ფაქტობრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, თქვა შორენა ჯაფარიძემ, ამიტომ იკითხა ის მაშინდელი რეკომენდაციები.
შემდგომში აუცილებლად უნდა განეხორციელებინათ ის რეკომენდაციები, დააზუსტა ექსპერტმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა რომ 23 აგვისტოს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით აქვთ დამტკიცებული წესი, რომლითაც მთლიანად შეიცვალა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიდგომა, ეს წესი სრულ შესაბამისობაშია მინისტრის ბრძანებასთან, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ასეთი ფორმით წესი ვერანაირად ვერ იქნებოდა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.
წაიკითხეს პროგრამის პარამეტრები.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 4 ოქტომბერი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,
სსიპ კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ:216350829) მიენიჭოს უფლება მარნეულის მუნიციპალიტეტში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი)**.

14:26 საათზე საბჭომ დაასრულა მუშაობა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

დანართი

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, იაღლუჯის დასახლება
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146